საქართველოს ხელისუფლების აგრესიული, პროპაგანდისტული რიტორიკა მედიის მიმართ - ავტორიტარების მიერ გამოცდილი ხერხი ჟურნალისტების დისკრედიტაციისთვის

დავით ქუტიძე[1]

ციფრული და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გვესმის ისეთი ტერმინები, როგორიცაა ყალბი ამბავი და დეზინფორმაცია. ერთი მხრივ, ეს სრულიად ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული, რადგან დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების პრობლემა დღევანდელი საზოგადოებების წინაშე მწვავედ დგას. მეორე მხრივ, აღნიშნული პრობლემა ბოროტად არის გამოყენებული ამა თუ იმ მთავრობის მიერ კრიტიკული მედიის (სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებითა თუ პრაქტიკული ღონისძიებებით) შესაზღუდად[2]. ამავდროულად, კრიტიკული მედია ხშირად ხდება სამთავრობო პროპაგანდის სამიზნეც, როდესაც, რიტორიკის დონეზე, ის დადანაშაულებულია „სიცრუის ტირაჟირებაში“, „ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში“, „ძალადობაში“, „სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაში“ და ა.შ. მსგავსი რეაქციები, არაერთი ქვეყნის მთავრობის მიერ, გამოყენებულია მაშინ, როცა ის მხილებულია სხვადასხვა ტიპის გადაცდომებსა თუ დანაშაულებრივ ქმედებებში. ასეთი ბრალდებები ზოგჯერ რიტორიკის დონეზე რჩება, უფრო ხშირად კი, არადემოკრატიულ ქვეყნებში, გამოყენებულია მედიის დარბევისა და გაჩუმების მცდელობების წინ, რამდენადაც მთავრობები მას იყენებენ მედიის მიმართ უნდობლობისა და ნეგატიური განწყობების ჩამოსაყალიბებლად. ხოლო, ამის შემდგომ, უფრო ადვილი ხდება მედიაზე იერიშის მიტანა.

ჟურნალისტების მიმართ აგრესიული რიტორიკა ბოლო წლებში ქართული რეალობისთვისაც ძალიან ახლობელი და აქტუალური გახდა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად ავრცელებენ კრიტიკული მედიის მისამართით მკვეთრად ნეგატიურ გზავნილებს. გარდა რიტორიკისა, ვხვდებით გარკვეულ საგანგაშო ქმედებებსაც, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს საქართველოში მედიის თავისუფლებას. მაგალითად, კრიტიკული ტელევიზიების ხელმძღვანელების წინააღმდეგ აღძრული საქმეები; ჟურნალისტების შევიწროების ფაქტები აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში;[3] კომუნიკაციების კომისიის მცდელობები,[4] ჩაერიოს მედიის შინაარსში; ჟურნალისტებზე ძალადობა, რომელიც მთავრობის

---

[1] კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“), საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: d.kutidze@ug.edu.ge

[2] დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2021. კორონავირუსის შესახებ „დეზინფორმაციასთან ბრძოლის“ საბაბით დაწყებული სამთავრობო ცენზურის პანდემია. https://bit.ly/3i1iIGl

[3] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2021. კრიტიკული ჟურნალისტების დევნა და შევიწროება აჭარის ტელევიზიაში. https://bit.ly/3zyZkXc

[4] დავით ქუტიძე. Gnomon Wise. 2021. კომუნიკაციების კომისია როგორც ცენზურის კომიტეტი. https://bit.ly/3zBW39z

მხრიდან სათანადო რეაგირების გარეშე რჩება.[5] თუმცა, ამ დოკუმენტში მხოლოდ იმ რიტორიკაზე ვისაუბრებთ, რაც, დღესდღეობით, მოქმედი ხელისუფლების მიერ ყველაზე ფართოდ გამოყენებული საშუალებაა კრიტიკული მედიის წინააღმდეგ. ქვემოთ განვიხილავთ იმ განცხადებებს, რომლებიც აშკარად შეიცავს ჟურნალისტების დისკრედიტაციის მცდელობებს.

მედიის მისამართით მთავრობის რიტორიკაზე საუბრისას, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: არის თუ არა საერთოდ პრობლემური ის ფაქტი, რომ ხელისუფლების ესა თუ ის წარმომადგენელი მედიას აკრიტიკებს? რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს, მათ შორის ხელისუფლების წევრებსაც, აქვთ უფლება გამოთქვან თავიანთი აზრი კონკრეტულ საკითხზე ან ცალკეულ პირზე. თუმცა, როცა ეს კრიტიკა (თუ შეიძლება, მას კრიტიკა ვუწოდოთ), ხშირ შემთხვევაში აგრესიული ფორმით და მედიის დისკრედიტაციის აშკარა მცდელობებით, კამპანიურ ხასიათს იღებს, მაშინ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ პროპაგანდასთან, რომელიც საზოგადოებაში მედიის მიმართ უნდობლობის გაჩენას ემსახურება. ქვემოთ განვიხილავთ ისეთ განცხადებებს, რომლებიც გაჯერებულია პროპაგანდისტული გზავნილებით და რომელთა გამოყენება განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ქვეყანაში რაიმე სახის კრიზისია და მთავრობის კომპეტენტურობა თუ კეთილსინდისიერება ეჭვქვეშ დგება. ამასთან, თუ გადავხედავთ ისტორიას და მიმოვიხილავთ სხვადასხვა არადემოკრატიული ხელისუფლების რიტორიკულ შეტევებს მედიაზე, პარალელი დღევანდელ ქართულ რეალობასთან უფრო ხელშესახები ხდება.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოლიტიკური ლიდერები სულ უფრო ხშირად აღწერენ კრიტიკულ ჟურნალისტებს და სამოქალაქო პირებს დამამცირებელი ტერმინებით. მედიისადმი სიძულვილის გაღვივება შეიძლება ხელისუფალთა მოკლევადიან ამბიციებს ემსახურებოდეს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამან შეიძლება ძალიან რთულად გამოსასწორებელი ზიანი მიაყენოს მედიის თავისუფლებას და ზოგადად დემოკრატიულ პროცესს[6]. ბუნებრივია, კრიტიკული მედიის წინააღმდეგ აგორებული პროპაგანდისტული კამპანიები სიახლე არ არის. ამ ხერხს წარმატებით იყენებდნენ ნაცისტურ გერმანიაში - მიუღებელი აზრების დისკრედიტაციისთვის გამოიყენებოდა ტერმინი "Lügenpresse" ("ტყუილი პრესა")[7]. აღნიშნული ლოზუნგი ჯერ კიდევ ძალაუფლებაში ნაცისტების მოსვლამდე, პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანიის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ წიგნში - "ჩვენი მტრების ტყუილი პრესა" - იქნა გამოყენებული. გაზეთ Frankfurter Allgemeine Zeitung-ის თანახმად კი, ტერმინი შემოიღო რეინოლდ ანტონმა 1914 წელს.[8] ორივე შემთხვევაში ეს ტერმინი უმთავრესად უცხოური საფრთხის კონტექსტში გამოიყენებოდა და ეხებოდა "მტრის პროპაგანდას". დაახლოებით ათი წლის შემდეგ კი, აღნიშნული გადაიქცა ნაციზმთან დაპირისპირებული ნებისმიერი ალტერნატიული აზრის დისკრედიტაციის და დამცირების იარაღად. შეიძლება ითქვას, ჰიტლერმა და ნაცისტებმა ამ ლოზუნგს ახალი, უფრო

[5] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი. https://bit.ly/3ucsNFq

[6] United Nations Human Rights Office of the High Commissioner. 2017. UN expert urges governments to end “demonization” of critical media and protect journalists. https://bit.ly/2W32pB2

[7] Jane E. Kirtley. American Bar Association. Getting on the Truth: Fake News, Libel Laws, and “Enemies of the American People.” https://bit.ly/39Kptbf

[8] Rainer Blasius. Frankfurter Allgemeine Zeitung. 2015. Von der Journaille zur Lügenpresse. https://bit.ly/2XGQh9c

ფართო გამოყენება შესძინეს და გაუთავებლად იმეორებდნენ მათ შორის ჟურნალისტების დისკრედიტაციის მიზნით.[9] ადოლფ ჰიტლერის რეჟიმის კრიტიკოსები ხშირად მოიხსენიებოდნენ როგორც "ტყუილი პრესის აპარატის" წარმომადგენლები. ამასთან, დღემდე, ამ სიტყვას აქვს ანტისემიტური კონოტაცია და ის გულისხმობს სიძულვილს არა მხოლოდ ჟურნალისტების, არამედ ყველას მიმართ, ვინც ეწინააღმდეგება "ხალხის ნებას". "Lügenpresse"-ს იარლიყის გამოყენებით, ჰიტლერის პროპაგანდის მინისტრის, იოზეფ გებელსის მიერ წარმოებული დისკრედიტაციის კამპანიის ფონზე, მილიონობით ადამიანი დაიღუპა ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკებში, მათ შორის, ებრაელები, პოლიტიკური ოპონენტები და ჰომოსექსუალები.[10] შეიძლება ითქვას, "Lügenpresse" არის იმ მავნე თანამედროვე იარლიყების ინსპირაცია 21-ე საუკუნეში, რომლებსაც ავტორიტარული რეჟიმები კრიტიკული აზრის გასანეიტრალებლად იყენებენ და მოიხსენიებენ მათ როგორც - „ყალბი ამბები“. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ტერმინი ტაბუდადებული იყო გერმანიაში 2015 წლამდე, იქამდე, სანამ ისლამის საწინააღმდეგო მოძრაობებმა, როგორიცაა „პეგიდა“,[11] უფრო ხშირად არ დაიწყეს მისი გამოყენება ჟურნალისტების თანდასწრებით. ამ მოვლენების პარალელურად, გერმანიაში მედიისადმი ნდობა შემცირდა და ჟურნალისტებზე სიტყვიერი თავდასხმები მალევე გადაიზარდა ფიზიკურ ძალადობაში. ზოგჯერ მედიის წევრებს არ შეეძლოთ „პეგიდას“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო მარშების გაშუქება პირადი დაცვის თანამშრომლების გარეშე. ზოგიერთი ჟურნალისტი, რომელმაც გარისკა დაცვის გარეშე შესვლა, სცემეს.[12]

ბუნებრივია, კრიტიკული აზრის დისკრედიტაციის მიზნით შექმნილი ტერმინების ნაკლებობას არც საბჭოთა კავშირი განიცდიდა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კი „ხალხის მტრის“ იარლიყი იყო, რომლის რეპლიკაციაც მშვენივრად მოახდინა თანამედროვე რუსეთმა. 1997 წელს რუსულმა სახელმწიფო მედიამ „Новая Газета-Мир Людей“, 15 თანამშრომლიანი რედაქცია, რომელიც აკონტროლებდა რეგიონალური მთავრობის ქმედებებს, გამოაცხადა "არაპატრიოტულ" და "სახელმწიფოს მტერ" მედიასაშუალებად. რედაქციას სხვადასხვა გზებით ავიწროებდნენ, შექმნეს მისი კონკურენტი სამთავრობო გაზეთი, 2005 წლის აგვისტოში კი „Новая Газета-Мир Людей“ დაიხურა.[13] ვლადიმერ პუტინის ხელისუფლების მიერ დანერგილი იარლიყი - „უცხოეთის აგენტები“ წარმატებით გამოიყენება თავისუფალი მედიის წინააღმდეგ. ის ეხება ჟურნალისტებს და არა მხოლოდ მათ. კანონი „უცხოეთის აგენტების“ შესახებ რუსეთში 2017 წელს მიიღეს და ის არის საფრთხე ყველა მედიასაშუალებისთვის. კანონი სთხოვს გამოცემებს და ცალკეულ ჟურნალისტებს, წარმოადგინონ დეტალური ფინანსური ანგარიშები, სხვა შემთხვევაში, ავალდებულებს მათ, საკუთარ პროდუქციას შესაბამისი მინიშნება („უცხოეთის აგენტი“) დაადონ: „ეს შეტყობინება (მასალა) შეიქმნა და (ან) გავრცელდა უცხოური მედიასაშუალების მიერ, რომელიც ასრულებდა უცხოეთის აგენტის ფუნქციებს, და (ან) რუსეთის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ფუნქციონირებს როგორც უცხოეთის აგენტი“. ეს ტექსტი

[9] Timothy Snyder. The New York Times. 2019. How Hitler Pioneered ‘Fake News’. https://nyti.ms/3kyEi6T
[10] Rick Noack. The Washington Post. 2016. The ugly history of ‘Lugenpresse,’ a Nazi slur shouted at a Trump rally. https://wapo.st/3lTCnJh
[11] DW. 2021. PEGIDA. https://bit.ly/3EJCTCt
[12] Rick Noack. The Washington Post. 2016. The ugly history of ‘Lugenpresse,’ a Nazi slur shouted at a Trump rally. https://wapo.st/3u2yiGB
[13] Joe Vesey-Byrne. INDEPENDENT. 2017. Here are 4 leaders, besides Donald Trump, that have called the press ‘enemies of the people’. https://bit.ly/2XRxokv

უნდა განთავსდეს ყველაფერზე - სტატიებზე, ვიდეოებზე, ინსტაგრამის ისტორიებზე, თუნდაც Twitter-ის ისეთ შინაარსზე, რომლებიც პოლიტიკასთან არაფერ შუაშია. რეესტრში, რომელიც „უცხოეთის აგენტებს“ აღრიცხავს, შესულია ათობით გამოცემა, ჟურნალისტი და აქტივისტი, ასევე სიტყვის თავისუფლების დამცველი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები.[14] გარდა ამისა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია დიდი წითელი "ყალბი ახალი ამბების" ბეჭდები იმ ისტორიებზე, რომლებიც ხელისუფლებას სიმართლედ არ მიაჩნია.[15] მსგავსი მიდგომებით, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს მოახდინოს იმ დამოუკიდებელ წყაროთა დისკრედიტაცია და მათდამი საზოგადოების ნდობის შემცირება, რომლებიც პუტინის მმართველობის მანკიერებაზე საუბრობენ.

მედიის მიმართ აგრესიულ რიტორიკას ვაწყდებით მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მთავრობების მოტივი კი, რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც „ყალბი“ და „სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი“ ინფორმაციის გავრცელების პრევენციაა. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სოციალური ქსელი Twitter საფრთხედ მონათლა. მისმა ხელისუფლებამ დააპატიმრა ათობით მომხმარებელი "დეზინფორმაციის" გამოქვეყნების ბრალდებით. მთავრობისადმი ლოიალური თურქული მედიასაშუალებები მათ მოწინააღმდეგეებს ადანაშაულებდნენ გაურკვეველ „უცხოელ მტრებთან“ კოლაბორაციაში.[16] ამასთან, თურქეთის მთავრობამ გერმანული გაზეთის, Die Welt-ის თანამშრომელი დენიზ იუჯელი „ტერორისტის“ იარლიყით შეამკო და მოგვიანებით დააპატიმრა კიდეც. სინამდვილეში, იუჯელი იყო იმ გუნდის ნაწილი, რომელიც იძიებდა კორუფციის საეჭვო შემთხვევებს თურქეთის მთავრობისა და პრეზიდენტის ოჯახის წევრების მონაწილეობით. მანამდეც და 2016 წლის ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგაც, თურქეთის მთავრობამ დააკავა ათობით ჟურნალისტი და დახურა არაერთი მედიასაშუალება. ჟურნალისტები, სხვადასხვა დროს, იყვნენ ერდოღანის თავდასხმის მთავარი სამიზნე მრავალი მიზეზით - მაგალითად, მათი დაკავშირება ხდებოდა ულტრა-ნაციონალისტებთან, გიულენის მომხრე ძალებთან და ა.შ. ერდოღანი მათ ყველას ე.წ. deep state-ის[17] იარლიყის ქვეშ აერთიანებდა.[18]

მედიის დისკრედიტაციის მიზნით წარმოებული რიტორიკა, ყველა ქვეყანასა და ყველა დროში, ფაქტობრივად იდენტურია, მაგალითად: მიანმარის მმართველი სამხედრო ხუნტის ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ მედია მუდმივად ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას ზოგიერთი სიმართლის გამოტოვებით, ზოგიერთი საკითხის გაზვიადებით და ფაქტების ყოველგვარი შემოწმების გარეშე. ბურმულენოვანი გაზეთი The Irrawaddy ხუნტამ შეაფასა როგორც "სახელმწიფოს მტერი". ვენესუელას ყოფილმა დიქტატორმა უგო ჩავესმა, RCTV-ის დახურვის შემდეგ, რომელიც მედია ჯგუფ Globovision-ს ეკუთვნოდა, მედიასაშუალება მოიხსენია როგორც

[14] Andrew Roth. The Guardian. 2021. Putin’s crackdown: how Russia’s journalists became ‘foreign agents’. https://bit.ly/3kxZuK8
[15] The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation. Published materials that contain false information about Russia. https://bit.ly/3CFhzfC
[16] Christopher Walker and Robert W. Orttung. Journal of Democracy. 2014. Breaking the News: The Role of State-Run Media. https://bit.ly/3ADFxHi
[17] Political Dictionary. Deep State. https://bit.ly/3u48uK4
[18] John Feffer. Institute for Policy Studies. 2017. If Journalists are the Enemy of the People, I Am Too. https://bit.ly/3nZQBev

მორიგი „სახელმწიფოს მტერი“.[19] ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორეა ცნობილი გახდა მედიის შევიწროებით (ხშირად სასამართლოში უზარმაზარი ჯარიმების მოთხოვნით). მედიასაშუალებები, რომლებიც მისი ადმინისტრაციის კრიტიკას ბედავდნენ, ხდებოდნენ თავდასხმების მსხვერპლი. 2012 წელს მან გააუქმა არაერთი მედიასაშუალების ლიცენზია და მოუწოდა საზოგადოებას ბოიკოტი გამოუცხადოს "კორუმპირებულ" კერძო მედიას. ერთ-ერთი გამოსვლისას მან საჯაროდ დახია გაზეთი La Hora, თან ყვიროდა - "დაე მიჩივლონ!"[20] სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა Amnesty International-ის ანგარიში, რომლის მიხედვითაც 13 000 ადამიანი დაიღუპა მის ერთ-ერთ სამხედრო ციხეში, სიყალბეში დაადანაშაულა და განაცხადა: „შენ შეგიძლია ყველაფერი გააყალბო თანამედროვე სამყაროში, ჩვენ ვცხოვრობთ ყალბი ამბების ეპოქაში“.[21] ფილიპინების პრეზიდენტი როდრიგო დუტერტე ჩივის, რომ ის „დემონიზებულია“ „ყალბი ამბებით“. მან ჟურნალისტებს არაერთხელ უწოდა "ჯაშუშები". ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ შესჩივლა RT-ს, რუსული პროპაგანდის არხს, რომ მსოფლიო მედიამ "ბევრი ყალბი ვერსია, ბევრი ტყუილი" გაავრცელა მისი ქვეყნის შესახებ.[22] მედიის დემონიზაციის კამპანიები გვხვდება არაერთ სხვა ქვეყანაში.[23]

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ არც ევროპელი ჟურნალისტები არიან დაცულნი. მაგალითად, სლოვაკეთის აწ უკვე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ ჟურნალისტებს უწოდა „ბინძური, ანტი-სლოვაკი მეძავები“, „ტუალეტის ობობები“ და „მომღიმარი გველები“.[24] სერბეთის მე-5 პრეზიდენტი ალექსანდრ ვუჩიჩი რეგულარულად ამცირებდა ჟურნალისტებს პრესკონფერენციებზე. ზოგიერთ შემთხვევაში, ჟურნალისტები, რომლებიც ვუჩიჩმა ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენია, მოგვიანებით იღებდნენ სიკვდილის მუქარას სხვადასხვა ონლაინ არხებით.[25]

საგარეო პოლიტიკის სპეციალისტები და პოლიტოლოგები, რომლებიც აკვირდებიან ინფორმაციის სანდო წყაროების დისკრედიტაციის ამ კამპანიას, აღნიშნავენ, რომ ეს არის ავტორიტარების მიერ რეგულარულად გამოყენებული მეთოდი. დემოკრატიული ინსტიტუტების გასანეიტრალებლად ავტორიტარებმა უნდა წაშალონ ზღვარი სიმართლესა და სიცრუეს შორის. მიზანია ინფორმაციის ტრადიციული წყაროების დისკრედიტაცია და მოქალაქეების დაურწმუნებლობა იმაში, თუ ვის ენდონ და რისი სჯეროდეთ. დეზორიენტაცია საშუალებას აძლევს მმართველ კლასს დარჩეს ძალაუფლებაში, როცა მათი ძალაუფლება არ არის გაკონტროლებული. **არ აქვს მნიშვნელობა, საზოგადოებას სჯერა თუ არა ლიდერის, არამედ მნიშვნელოვანია ის, რომ მათ არ სჯეროდეთ ლიდერის საწინააღმდეგო ხმების.**[26] კოლუმბიის

---

[19] Joe Vesey-Byrne. INDEPENDENT. 2017. Here are 4 leaders, besides Donald Trump, that have called the press ‘enemies of the people’. https://bit.ly/3AC997V
[20] Christopher Walker and Robert W. Orttung. Journal of Democracy. 2014. Breaking the News: The Role of State-Run Media. https://bit.ly/3CHdJ5o
[21] Jason Schwartz. POLITICO. 2017. Trump’s ‘fake news’ mantra a hit with despots. https://politi.co/2XLkVi4
[22] Sputnik International. 2017. Maduro Accuses World Media of Spreading Fake News on Venezuela. https://bit.ly/3hYoF75
[23] Jason Schwartz. POLITICO. 2017. Trump’s ‘fake news’ mantra a hit with despots. https://politi.co/39whWMY
[24] Index on Censorship. 2018. Demonising the media: Threats to journalists in Europe. https://bit.ly/3ADNFI6
[25] იგივე. https://bit.ly/2XSek5x
[26] Joe Vesey-Byrne. INDEPENDENT. 2017. Here are 4 leaders, besides Donald Trump, that have called the press ‘enemies of the people’. https://bit.ly/3AAaY5B

ჟურნალისტიკის სკოლის დეკანის, სტივ კოლის თქმით, ამგვარი რიტორიკის ფონზე მთავრობებისთვის უფრო ადვილია ცენზურის საზღვრების გაფართოება.[27]

უახლოეს წარსულში, ხელისუფალის მიერ მედიის დისკრედიტაციისა და დემონიზაციის პრობლემა უმწვავესად იდგა ამერიკის შეერთებულ შტატებში, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში. იგივე, ტერმინ Lügenpresse-ს დღის წესრიგში დაბრუნება ემთხვევა ტრამპის 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიას. მან გამოიყენა „ყალბი ამბების“ იარლიყი პრაქტიკულად ყველა მეინსტრიმული მედიის (New York Times, NBC, ABC, CBS, CNN და ა.შ.) წინააღმდეგ და უწოდა მათ „წარუმატებელი“. როგორც ჩანს, ამ კამპანიას გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზეც. მონმუთის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ოთხი ამერიკელიდან სამს მიაჩნია, რომ მედია რეგულარულად აქვეყნებს ყალბ ამბებს, ხოლო Gallup/Knight Foundation-ის კვლევამ აჩვენა, რომ რესპუბლიკელთა 42%-ის აზრით, ნებისმიერი სიახლე, რომელიც უარყოფითად ასახავს პოლიტიკურ ჯგუფს ან პოლიტიკოსს, ყალბია.[28]

ტრამპის ამ კამპანიის და Twitter-ზე მის მიერ გამოქვეყნებული უამრავი პოსტის მიუხედავად, სადაც ის მეინსტრიმულ მედიას „ყალბი ახალი ამბების მედიად“ და „ამერიკელი ხალხის მტრად“ მოიხსენიებდა, ისეთი მყარი ინსტიტუციური დემოკრატიის პირობებში, როგორიც ამერიკაა, ბუნებრივია, პრეზიდენტის ქმედებები რიტორიკას არ გასცდენია. თუმცა, შეიძლება ითქვას, ტრამპის რიტორიკა წარმატებით აითვისეს არაერთ ავტორიტარულ ქვეყანაში და შემდგომში ის კრიტიკული აზრის შესაზღუდად გამოიყენეს. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის (CPJ) აღმასრულებელი დირექტორის, ჯოელ სიმონის თქმით, ტრამპმა შექმნა „კონტექსტი და ჩარჩო ყველა სახის ავტორიტარული ლიდერისთვის - ან თუნდაც დემოკრატიული ლიდერებისთვის, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ამა თუ იმ მედიის მიერ სხვადასხვა საკითხის გაშუქებით - შეაფერხონ და დისკრედიტაცია გაუწიონ მედიას“.[29] არსებობს მოსაზრებები, რომ ტრამპის პოსტებმა თავისი წვლილი შეიტანეს მიმდინარე წლის იანვარში თეთრ სახლში მომხდარი ძალადობის პროვოცირებაში. სწორედ ამის საფუძველზე, Facebook-მა და Twitter-მა მისი ანგარიშები დაბლოკეს.[30] წაახალისა თუ არა ტრამპის რიტორიკამ ძალადობა, ეს ცალკე, ფართო და კომპლექსური მსჯელობის საგანია, თუმცა, მედიასაშუალებების წინააღმდეგ მისმა განცხადებებმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოახდინა მედიის დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში.

[27] Jason Schwartz. POLITICO. 2017. Trump's 'fake news' mantra a hit with despots. https://politi.co/3zxDZgU
[28] Jane E. Kirtley. American Bar Association. Getting on the Truth: Fake News, Libel Laws, and "Enemies of the American People." https://bit.ly/3CCkl53
[29] Jason Schwartz. POLITICO. 2017. Trump's 'fake news' mantra a hit with despots. https://politi.co/2XPJnio
[30] The Economist. 2021. Will Facebook's "Supreme Court" reinstate Donald Trump's account? https://econ.st/3CGQJns

საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა მედიის მისამართით და ამ პროცესში გამოყენებული პროპაგანდისტული ხერხები

კრიტიკული მედიის მისამართით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა რიტორიკა განსაკუთრებით ბოლო წლებში გააქტიურდა. ეს, სავარაუდოდ, გამოწვეულია ბოლო პერიოდის სხვადასხვა ტიპის კრიზისით. შეიძლება ითქვას, რომ კრიზისულ პერიოდში (რომელიც, ფაქტობრივად, 2019 წლის 20 ივნისის შემდეგ აღარ განმუხტულა) მთავრობის გადაცდომებისა და სხვა არამართლზომიერი ქმედებების კრიტიკას მედიის მხრიდან, მოჰყვება ხოლმე ხელისუფლების წევრების აგრესიული რეაქცია. ამ რეაქციის უპირველესი სამიზნე ტელევიზიები და მათი ჟურნალისტები არიან. ალბათ, იმიტომ, რომ სწორედ ტელევიზია წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა უმეტესი ნაწილისთვის ინფორმაციის მიღების პირველად წყაროს. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით ჩატარებული ბოლო (2021 წლის ივლისი) საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად,[31] მოქალაქეთა 57%-ისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ტელევიზიაა.

სანამ უშუალოდ იმ განცხადებებს მიმოვიხილავთ, რომლებსაც სახელისუფლებო გუნდის ნაწილი მედიის დისკრედიტაციისთვის იყენებს, მოკლედ შევეხოთ პროპაგანდის ძირითად ტექნიკებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად ცნობილია და საქართველოშიც ხშირადაა გამოყენებული:

იარლიყების მიკვრა (name calling) - ადამიანის, ჯგუფის თუ იდეის მიმართ დადებითი ან უარყოფითი იარლიყის მიკვრა. ხშირ შემთხვევაში, ის უარყოფით კონტექსტში გამოიყენება. ამასთან, პროპაგანდის ამ ხერხის მიზანია, ინფორმაციის მიმღებს გაუჩინოს დემოტივაცია, რათა მან არ გამოიკვლიოს, თუ რა ფაქტები დგას ამა თუ იმ იარლიყის მიღმა, ანუ ემოციებმა გადაფაროს არგუმენტირებული მსჯელობა. მას ხშირად იყენებენ ოპონენტების ნეგატიური ხატის შესაქმნელად, სხვადასხვა სტერეოტიპის შექმნითა და განვითარებით. ამ ტექნიკის მთავარი მიზანი აუდიტორიის ემოციებით მანიპულირება და მათ საფუძველზე მიღებული ნაჩქარევი, ზედაპირული დასკვნების პროვოცირებაა.[32] ქართულ რეალობაში ჟურნალისტების და ზოგადად მედიის მისამართით არაერთ მსგავს იარლიყს შევხვდებით, მაგალიათად, „პარტიული“, „ანტისახელმწიფოებრივი ტელევიზიები“, „ბინძური პროვოკაციების გამავრცელებლები“, „მოძალადეები“, „ნაგვები“. ეს უკანასკნელი, ხშირად გამოყენებულია „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული გოგა ხაინდრავას მიერ, რომელიც ჟურნალისტებს შემდეგი ფრაზებით მიმართავს: „თქვენ ხართ მოძალადეები, თქვენ ხართ სამარცხვინო ხალხი, ყარხართ, უნამუსობით ყარხართ, სიბილწით ყარხართ, თქვენ ხართ ნაგავი“.[33]

ზემოთ ხსენებულის მსგავსია ***Ad nauseam*** ტექნიკა, რომელიც ერთი და იმავე იდეის განუწყვეტლივ გამეორებას გულისხმობს. ეს შესაძლოა იყოს იდეა, ან მარტივი სლოგანი, რომელსაც იმდენად ხშირად იმეორებენ, რომ ადამიანები მას იჯერებენ.[34] ქართულ რეალობაში

---

[31] Caucasus Research Resource Center. NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის ივლისი. https://bit.ly/3i1YNXX

[32] Richard C. Vincent. 2006. Global Communication and Propaganda. https://bit.ly/3hY1s4E

[33] “TV პირველი“. 2021. ნაგავი ხარ, ყარხარ! - გოგა ხაინდრავა ჟურნალისტებს დაუპირისპირდა. https://bit.ly/3lRiMcZ

[34] MilLab. პროპაგანდა. https://bit.ly/3CTJOr9

მსგავს მიდგომას ვხვდებით მაშინ, როცა კრიტიკული ტელევიზიები მოხსენიებულნი არიან როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ დანამატები.

ამა თუ იმ კრიზისის დროს, მედიის მიერ კონკრეტული გადაცდომების გამოაშკარავებისას, ბუნებრივია, მთავრობის პირველი რეაქცია ***ფაქტების უარყოფაა*** - მოვლენის შესახებ თუნდაც აშკარა ფაქტების უგულებელყოფა, ან მცდარი ინტერპრეტირება აუდიტორიაში ეჭვების გაჩენის მიზნით. როგორც წესი, ამას მოსდევს პრობლემის გაუბრალოება, დაკნინება. მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ „TV პირველზე“ განხორციელებული სავარაუდო კიბერ-შეტევის შესახებ კითხვის საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „ვის რაში სჭირდება თქვენი სერვერი საერთოდ... თქვენ ხართ „რეალ TV“ ჩვეულებრივი, ისეთივე, როგორიც იყო 2012 წელს ვანო მერაბიშვილის ტელევიზია. დღეს, რა თქმა უნდა, თქვენი მმართველი არის სააკაშვილი, ხაზარაძე და წერეთელი, მაგრამ თქვენ ხართ, ჩვეულებრივ, „ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზია, „რეალ TV“, იგივე სტილში მუშაობთ, ფალსიფიკაცია, გაყალბება, ფაბრიკაცია, ეს არის თქვენი ხელწერა“.[35]

ამა თუ კრიტიკულ ინფორმაციაზე საპასუხოდ, ხელისუფალთა მხრიდან ხშრად გამოიყენება ***წყაროს დისკრედიტაციის ტექნიკა*** - როგორი სწორიც არ უნდა იყოს კონკრეტული იდეა ან ცნობა, მისი დაგმობა ხდება მხოლოდ და მხოლოდ წარმომავლობის გამო. ამ მიდგომამ შეიძლება ერთი შეხედვით დაუჯერებელ საზღვრებს მიაღწიოს. მაგალითად, ადოლფ ჰიტლერი არ იღებდა არავითარ იდეას იმ მეცნიერებისგან, რომლებიც ატომური ბომბის პროექტის შესახებ ესაუბრებოდნენ. ის ატომურ ფიზიკას „ებრაულ“ მეცნიერებად მიიჩნევდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეორე მსოფლიო ომში უდიდესი უპირატესობა იქნებოდა[36]. მსგავსი მიდგომით, საქართველოს ხელისუფლებაც სარგებლობს და ნებისმიერ ფაქტს ან ახალ ამბავს, რომელიც მისთვის არასასურველი მედიით შუქდება, დისკრედიტაციას უკეთებს მისი წარმომავლობიდან გამომდინარე, „ყალბი ამბების “ და „პარტიული მედიის“ იარლიყების გამოყენებით.

ბრალმდებლის დადანაშაულება - ლოგიკა, რომლის მიხედვითაც საუკეთესო თავდაცვა - თავდასხმაა. მაგალითად, მიმდინარე წლის 5-6 ივლისის მოვლენებზე[37] (სადაც ფიზიკურად იძალადეს ათობით ჟურნალისტზე, რამდენიმე დღის შემდეგ კი, „TV პირველის“ ნაცემი ოპერატორი გარდაიცვალა) და მთავრობის არასათანადო რეაგირებაზე (როდესაც, მან ვერ ან არ დაიცვა ჟურნალისტები მოძალადე ჯგუფებისგან) საუბრისას, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მართალია, ჟურნალისტებზე ძალადობა მიუღებელია, თუმცა, ჟურნალისტებიც ხშირად ძალადობენ საზოგადოებაზე, ოღონდ ფსიქოლოგიურად. მსგავსი განცხადება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს, კახა კალაძეს ეკუთვნის: „რასაკვირველია, ძალადობა და სიძულვილი კლავს ჩვენს ქვეყანას, მის მომავალს, და ყველა ის ადამიანი, ვინც 5 ივლისს გიმეტებდათ, გირტყამდათ, ძალადობდა, აზიანებდა ქვეყნის განვითარებასა და ჩვენს ხვალინდელ დღეს. ეს დასჯადი ქმედებაა და ეს ყველაფერი სამარცხვინოა... არანაკლები ბოროტებაა ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც, სამწუხაროდ, მთელი წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენს საზოგადოებაში. ხშირად ვისმენთ

[35] On.ge. 2021. ვის რაში სჭირდება თქვენი სერვერი - ღარიბაშვილი „TV პირველს“. https://bit.ly/2XIp9qG
[36] Henry T. Conserva. 2003. Propaganda Techniques. https://bit.ly/39GTXec
[37] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი. https://bit.ly/3lW700J

სხვადასხვა ტელევიზიიდან, ტელეეთერებიდან ადამიანების დამცირებას, ცილისწამებას, მათ ბულინგს, მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა ნიშნის გამო“.[38]

კახა კალაძის ზემოთ ხსენებული განცხადება ასევე კარგად ესადაგება პროპაგანდის კიდევ ერთ ტექნიკას. ეს არის ***კონტრბრალდებები (whataboutism),*** რომელიც ბრალდებებზე ან რთულ საკითხებზე პასუხის გაცემის ნაცვლად, ან საპირისპირო ბრალდებებს აყენებს ან აქცენტი სხვა საკითხზე გადააქვს, რაც არასწორი შედარებებისა და მანიპულაციური მორალური მსჯელობების გზით, კრიტიკის ობიექტიდან ყურადღების გადატანას ან/და ამ ობიექტის გამართლებას ცდილობს.[39]

განზოგადება - ერთი მოვლენის ან იდეის გენერალიზება და მასთან დაკავშირებული კლასტერის წარმოჩენა დადებითად ან უარყოფითად. ადამიანის ტვინი შეჩვეულია გენერალიზებას, თუ მაგალითად ჩვენ ვიყიდით სამ ვაშლს მაღაზიის დახლიდან და სამივე მათგანი დამპალი აღმოჩნდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დახლზე ყველა ვაშლი დამპალია. თუმცა, ეს ან იქნება მართალი, ან - არა. მსგავსი სიტუაციაა მაშინ, როცა ხელისუფლებების წარმომადგენლები ყველა კრიტიკულ ჟურნალისტს ერთ „ქვაბში ხარშავენ“, ერთიანად არაპროფესიონალად, მტრულად და ვიწრო-პარტიული ინტერესების გამტარებლად წარმოაჩენენ.[40]

დაჯგუფების მიდგომა (bandwagon approach) – ეს ტექნიკა გულისხმობს შემდეგი ცნების გამოყენებას: „ყველა აკეთებს ამას“. ის საზოგადოების წევრებს მოუწოდებს მიეტმასნონ ამა თუ იმ ჯგუფს და მიჰყვნენ ბრბოს ქცევებს. ხშირად, საქართველოს ხელისუფლების წევრებიც ცდილობენ მიეტმასნონ სარწმუნოებასა თუ ტრადიციებს. ამ კუთხით, გამოსაყოფია ხელისუფლების განცხადებები 5-6 ივლისის მოვლენებზე, როცა ლგბტქი ჯგუფების მიერ დაანონსებულ „ღირსების მარშს“, საზოგადოების მცირე ჯგუფის მხრიდან მოჰყვა კონტრ-აქცია და ჟურნალისტებზე ძალადობა. ამ მოვლენებამდე და მის შემდეგაც, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები აცხადებდნენ, რომ ლგბტქი თემი არ უნდა შეკრებილიყო რუსთაველის გამზირზე, რადგან ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ეკლესიას და მოსახლეობის უმრავლესობის ნებას. მაგალითად, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „როდესაც ჩვენი მოსახლეობის 95% არის წინააღმდეგი, დემონსტრაციულად პროპაგანდისტული მარშის თუ აღლუმის ჩატარების, ამას ყველანი უნდა დავემორჩილოთ. ეს არის ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრი და ჩვენ, როგორც ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, ვართ იძულებული, რომ ამას ანგარიში გავუწიოთ, ამას ყოველთვის გავუწევთ ანგარიშს, ისე აღარ იქნება როცა უმცირესობა წყვეტდა ყოველთვის უმრავლესობის ბედს, როცა ძალადობრივი ხელწერით ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებდენ საქართველოში“.[41] თუმცა, როგორც ბოლოდროინდელმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, მოსახლეობის 95% შეიძლება სულაც არ ყოფილა ამ მარშის ჩატარების წინააღმდეგი. მეტიც, გამოკითხულთა 73%-

[38] რადიო თავისუფლება. 2021. კალაძემ ძალადობრივი ჯგუფების ქმედებებს შეადარა მედიის მუშაობა. https://bit.ly/3o3yeW3
[39] MilLab. პროპაგანდა. https://bit.ly/3CTJOr9
[40] Henry T. Conserva. 2003. Propaganda Techniques. https://bit.ly/3CHPZhx
[41] რადიო თავისუფლება. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი: როცა 95% მარშის ჩატარების წინააღმდეგია ყველა უნდა დაემორჩილოს. https://bit.ly/39xp4IT

ის აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმცირესობების შეკრების თავისუფლება და მათი უსაფრთხოება.[42]

უბრალო ხალხი (plain folks) - მისი გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც კომუნიკატორს სურს დაარწმუნოს სხვები, რომ ის ან მისი იდეები კარგი ან ქმედითია, ვინაიდან ისინი ყველას მსგავსია, ისეთი, რაც ჩვეულებრივი ხალხისთვისაა მისაღები.[43] საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, თუ როგორ დაიღალა ხალხი პოლარიზაციით, სხვადასხვა ტელევიზიის მიერ გაშუქებული „სიყალბეებით“ და აგრესიული ტონით. ამ დროს კი, თავისი რიტორიკით, ხშირად თავად უწყობენ ხელს პოლარიზაციას.

ბანქოს დაწყობა (card staking) - ეს ტექნიკა გამოიყენება მაშინ, როდესაც პრეზენტატორი იყენებს ფაქტების დამახინჯებას, ან მათ ტენდენციურ შერჩევას, სადაც გამოტოვებულია არასასურველი მოვლენები, ასევე ის იყენებს ბუნდოვან განმარტებებს, ერთმანეთში ურევს ლოგიკურ და ალოგიკურ გამონათქვამებს. ამ გზით კი, პროპაგანდისტი აწყობს ბანქოს სიმართლის საწინააღმდეგოდ, მის გადასაფარად, მისი მხოლოდ ერთი პერსპექტივიდან საჩვენებლად. მიღებულ ინფორმაციაში გამოტოვებული ან/და დამახინჯებული ფაქტების გამო, აუდიტორიას არ აქვს საშუალება სრულფასოვნად განსაჯოს მოვლენა და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. „დიდი ტყუილის“ სახელითაა ცნობილი ნაცისტური გერმანიის დეზინფორმაციული კამპანიები პირველი მსოფლიო ომისა და ებრაელების როლის გადააზრების მიზნით. ჰიტლერის პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსი კი ამბობდა, რომ თუ ტყუილი საკმარისად ხშირად, სისტემატურადაა განმეორებული, ის საბოლოო ჯამში ფართოდ იქნება მიღებული როგორც სიმართლე.[44] მედიასთან მიმართებით, საქართველოს ხელისუფლებისთვის მსგავსი ტექნიკის გამოყენება სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ისინი ხაზს უსვამენ ყოფილი ხელისუფლების დროს მედიის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს (უნდა ითქვას, არცთუ უსამართლოდ, რადგან მედიას პრობლემები წინა ხელისუფლების დროსაც მრავლად ჰქონდა) და აწმყო დროში საუბრობენ, თუ როგორი არასანდონი არიან მათ მიერ დაფუძნებული მედიასაშუალებები. ანუ, რიტორიკა იწყება წარსულის შესახებ მეტწილად სამართლიანი შენიშვნებით, თუმცა მიმდინარე მოვლენების წარსულის საშუალებით გამართლება და ამით მედიის დისკრედიტაცია, სწორედ რომ პროპაგანდისტული რიტორიკის ერთ-ერთი ხერხია.

---

[42] რადიო თავისუფლება. 2021. მოსახლეობის 73%-ის აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრაიდის მონაწილეთა უსაფრთხოება - „ედისონ რისერჩი“. https://bit.ly/2W6kGxk
[43] Richard C. Vincent. 2006. Global Communication and Propaganda. https://bit.ly/3EVeZUF
[44] იგივე. https://bit.ly/3kwwMtc

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა აგრესიული რიტორიკის მაგალითები

პროპაგანდის სხვადსხვა ტექნიკის ქართულ რეალობაში გამოყენებას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ის განცხადებები, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ. მედიის მისამართით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების (მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირების) აგრესიული გზავნილების განსაკუთრებული სიჭარბე მიმდინარე წელს შეინიშნება, რაც ალბათ ზოგადი კრიზისული სიტუაციის და წინასაარჩევნო პერიოდის დამსახურებაა. ამ განცხადებებს აქვთ კამპანიური ხასიათი და მათში იკვეთება მთავრობის მიმართ კრიტიკული მოსაზრებების დისკრედიტაციის მცდელობა.

აგრესიული რიტორიკით გამოირჩევა მოქმედი პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი.** ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ღარიბაშვილმა ტელევიზიების წარმომადგენლებს "პუტინისტები" უწოდა. ის ჟურნალისტებს იმ კითხვამ გააღიზიანა, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებში ვლადიმერ პუტინის არხსენებას ეხებოდა. „რუსული ოკუპაცია განაპირობა თქვენმა ბელადმა... სააკაშვილმა და თქვენი ტელევიზიის დამფინანსებელმა კეზერაშვილმა, რომელმაც ჩვენი გმირი ჯარისკაცები მიატოვა ომში. ჟურნალისტებს არ ვუწოდებ [პუტინისტებს], მე ვუწოდე "მთავარ არხს" და "ფორმულას" და „ნაცმოძრაობას“. თქვენ განაპირობეთ პუტინის შემოსვლა საქართველოში“.[45]

ასევე, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში მყოფი ჟურნალისტები, რომლებიც მისთვის კითხვების დასმას ცდილობდნენ, „გიჟებად“ მოიხსენია.[46] ამ განცხადებებში კარგად ჩანს იარლიყების მიწებების პროპაგანდისტული ტექნიკის გამოყენება.

ღარიბაშვილი ხშირად ესხმის თავს „TV პირველსაც“. მისი თქმით: „TV პირველის“ ეთერში ამაზრზენი და ანტისახელმწიფოებრივი გადაცემები გავიდა, სადაც პირდაპირი შეტევა განხორციელდა ჩვენს პატრიარქსა და ეკლესიაზე, ეს არის პირდაპირი მტრობა სახელმწიფოს და ჩვენი ეკლესიის... ეს არის თქვენი იდეოლოგიის ბრალი. თქვენი არა, ამ შემთხვევაში იმ ტელევიზიის, იმ დამფინანსებლების და იმ მთავარი იდეოლოგების, რომლებიც ამ ტელევიზიის უკან დგანან. თქვენი ტელევიზია ფინანსდება პირდაპირ „ნაცმოძრაობის“ მიერ და მთელი ის პოლიტიკა, რომელიც იმართება, არის ანტისახელმწიფოებრივი“.[47] ამ განცხადებით, კონკრეტული ტელევიზიის დისკრედიტაციის გარდა, ხელისუფლების წარმომადგენელი ეტმასნება ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინსტიტუტს, ეკლესიას და თავს წარმოაჩენს მის დამცველად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლგბტქი თემის მიერ მიმდინარე წლის 5 ივლისს დაანონსებულ „ღირსების მარშს“ საზოგადოების მცირე ნაწილი კონტრ-აქციით დაუპირისპირდა. იმავე დღეს ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ რუსთაველის გამზირზე

---

[45] ფორმულა. 2020. ღარიბაშვილი ფორმულას და მთავარ არხს: პუტინისტები ხართ თქვენ. https://bit.ly/3Ctf3Jh

[46] On.ge. 2021. „გიჟები არიან“ - ღარიბაშვილმა ჟურნალისტები დისკრიმინაციული ტერმინით მოიხსენია. https://bit.ly/3hQ1cog

[47] იმედი NEWS. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი: „TV პირველი“ ფინანსდება პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და მთელი ეს პოლიტიკა, რომელიც იმართება, არის არასახელმწიფოებრივი. https://bit.ly/39mNMeX

მარშის ჩატარება მიზანშეუწონლად მიაჩნდა.[48] მარშის მონაწილეებზე ძალადობის საფრთხის გამო, ორგანიზატორებმა ის არ ჩაატარეს, თუმცა, მარშის მოწინააღმდეგეებმა მიზანში ჟურნალისტები ამოიღეს.[49] მოძალადეები ფიზიკურად გაუსწორდნენ 50-ზე მეტ ჟურნალისტს. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ამ მოვლენების დროს ნაცემი „TV პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა. ჟურნალისტებმა ხელისუფლება ძალადობის წახალისებასა და მოძალადე ჯგუფების შეკავების კუთხით არასათანადო რეაგირებაში დაადანაშაულეს. მათ პრემიერ ღარიბაშვილის გადადგომა მოითხოვეს. სწორედ ამ კრიზისის შემდეგ გააქტიურდა მედიის დისკრედიტაციის კამპანია ხელისუფლების და მათ შორის, ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან.

„ხალხი ძალიან კარგად ხედავს, თუ ვინ დგას სიმართლის მხარეს. რაც ხდება ბოლო დღეების განმავლობაში, რა თქმა უნდა, ეს არის პოლიტიკური აქცია, პოლიტიკური აქტი. მე მინდა მოგისამძიმროთ ყველას თქვენი კოლეგის გარდაცვალება. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან დიდი ტრაგედია ჩვენთვის ყველასთვის, მაგრამ ძალიან დიდი ამორალური საქციელია სწორედ თქვენი კოლეგის სიკვდილით სპეკულირება და ამით მანიპულირება საზოგადოებაზე. სპეკულირებს ერთადერთი დესტრუქციული ძალა - ეს არის სააკაშვილი დ მისი რადიკალური ჯგუფი. ყველა, ვინც ახლა არის გაერთიანებული მის გარშემო, რა თქმა უნდა, ატარებს სააკაშვილის პოლიტიკას. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ჟურნალისტების ის ნაწილი, რომელიც უკვე პირდაპირ არის ჩაბმული ამ პოლიტიკურ კამპანიაში და აქციებში, ეს, რა თქმა უნდა, არ აისახება კარგად მედია გარემოზე, მაგრამ ეს მათი არჩევანია. ჩვენ, მთავრობა, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენ, ჟურნალისტებს გქონდეთ თავისუფალი მუშაობის, გადაადგილების საშუალება. ამისთვის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა...“ - განაცხადა ღარიბაშვილმა.[50] შეიძლება ითქვას, ამ განცხადებაში თავმოყრილია პროპაგანდის თითქმის ყველა ზემოთ განხილული ტექნიკა, მათ შორის, Ad nausem, ფაქტების უარყოფის, კონტრბრალდებების, განზოგადების ტექნიკები და ამ ყველაფრის აღრევით, ბანქოს ისე დალაგება, რომ ტყუილსა და მართალს შორის ზღვარი წაიშალოს.

ჟურნალისტების პროტესტის შესახებ საუბრისას პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა: „პირველი ამოცანა არის ის, რომ არცერთი ავტორიტეტი არ დატოვონ ქვეყანაში, მოახდინონ დისკრედიტაცია ყველა ავტორიტეტის, ყველა ავტორიტეტული ინსტიტუტების, ჯარის, პოლიციის, სასამართლოსი, ამიტომაც ებრძვიან ეკლესიას, ამიტომ ებრძვიან პატრიარქს, ამიტომ იგონებენ ათას პროვოკაციას, ამიტომ დგანან ისინი ლგბტქი მარშის კამპანიის უკან. მათი ორგანიზებით ხდებოდა ის მძიმე პროვოკაცია, რომელიც თავიდან ავიცილეთ ჩვენ. რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო იყო ის, რაც მოხდა. ჩვენ დავგმეთ ყველამ, არ შეიძლებოდა ჟურნალისტებზე თავდასხმა და კატასტროფული შეცდომა იყო, რაც მთავარია, თუმცა ყველა მოძალადე იქნა დასჯილი და დაპატიმრებული“.

---

[48] რადიო თავისუფლება. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი: დღეს დაანონსებული მარშის ჩატარება მიმაჩნია მიზანშეუწონლად. https://bit.ly/2XHmw8g

[49] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. 5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი. https://bit.ly/3lW700J

[50] ინფო ფოსტალიონი. 2021. ღარიბაშვილი ჟურნალისტებს: დიდი ამორალური საქციელია თქვენი კოლეგის სიკვდილით სპეკულირება და ამით მანიპულირება საზოგადოებაზე. https://bit.ly/3AsB8qR

აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი კონტრ-აქციის ორგანიზატორთა გამოვლენა/დასჯის კუთხით, ჯერ ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა. ამ შემთხვევაში, ავტორიტეტულ ინსტიტუტებთან მიტმასნების ხერხთან ერთად, პრემიერის განცხადება მოიცავს ბანქოს დაწყობის ტექნიკასაც, რადგან ის რამდენიმე მოძალადის დაკავების რეალურ ფაქტს საზოგადოებას აწვდის ისე, თითქოს 5 ივლისის ყველა სავარაუდო დამნაშავე, მათ შორის ძალადობის ორგანიზატორებიც, დასჯილნი არიან. ასევე, ის წარმოაჩენს 5 ივლისის მოვლენებს ისე, თითქოს თავიდან იქნა აცილებული რაღაც გაურკვეველი პროვოკაცია და ეს ხელისუფლების დამსახურებაა.

5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით, პრემიერის კიდევ არაერთი განცხადებაა, სადაც გამოყენებულია პროპაგანდის სხვადასხვა ტექნიკა. „ეს სიყალბე და ეს ძალადობა უნდა დაასრულოთ თქვენ [მიმართავს ჟურნალისტებს]. მე ველაპარაკები ამ შემთხვევაში იმ ადამიანებს, ვინც არიან თქვენი მმართველები. სამწუხაროდ, ტელევიზიები გარდაიქმნენ პარტიული ორგანიზაციების დანაყოფებად. მთელი ის სიყალბე, რაც ჩვენ ბოლო დღეების განმავლობაში ვიხილეთ, არის მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო პარტიული ინტერესების გატარებისთვის ორგანიზებული“, - განაცხადა[51] ღარიბაშვილმა მისი გადადგომის მოთხოვნით გამართული აქციის კომენტირებისას.

„მთავარი“, “TV პირველი“ და „ფორმულა“ პირდაპირ იმართება სააკაშვილის მიერ და მათი მოპარული ფინანსებით. შესაბამისად, მათი დღის წესრიგი და „ნაცმოძრაობის“ და რევანშისტული რადიკალური ძალის დღის წესრიგი არის აბსოლუტურად იდენტური. მათ აქვთ ერთი მიზანი, როგორმე ჩამოაგდონ ხელისუფლება და ძალადობრივი გზით მოვიდნენ ხელისუფლებაში, რაც, რა თქმა უნდა, მიუღწეველია, ამას ჩვენ არ დავუშვებთ...“ - განაცხადა[52] ირაკლი ღარიბაშვილმა.

17 ივლისს პრემიერ-მინისტრმა მახათას მთაზე მშენებარე „ჯარის ქალაქი“ დაათვალიერა, თუმცა სამი ტელეკომპანია - „პირველი”, „მთავარი არხი“ და „ფორმულა“ - იქ არ მიუწვევიათ. მიზეზებზე საუბრისას მთავრობის ადმინისტრაციამ განაცხადა: „დღეს რამდენიმე მედიასაშუალების მხრიდან დაისვა კითხვები, რატომ არ იყვნენ ისინი მოწვეული პრემიერ-მინისტრის დღევანდელ ღონისძიებაზე. პრემიერ-მინისტრი ყოველთვის პასუხობს ჟურნალისტების კითხვებს... „მთავარ არხს“, „TV პირველს“ და „ფორმულას“ არ აინტერესებთ პასუხები კითხვებზე, ისინი მუდმივად იქცევიან დესტრუქციულად და მხოლოდ თავიანთ პოლიტიკურ დღის წესრიგს მიყვებიან. ირაკლი ღარიბაშვილი თვლის, რომ „მთავარმა არხმა“, „TV პირველმა” და “ფორმულამ” გადაკვეთეს ყველანაირი წითელი ხაზი, ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, ფინანსდებიან და პირდაპირ მართულები არიან მიხეილ სააკაშვილის და მისი რადიკალური ძალების მიერ და ჩართული არიან პოლიტიკურ კამპანიაში პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ. შესაბამისად, ამ მიზეზით დღეს არ მოხდა აღნიშნული

[51] ტაბულა. 2021. ღარიბაშვილი ჟურნალისტებს: ეს სიყალბე და ძალადობა უნდა დაასრულოთ. https://bit.ly/3ksxlyF

[52] რადიო თავისუფლება. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი: გუშინდელ აქციაზე მოვისმინეთ კლასიკური ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეკლესიური გზავნილები. https://bit.ly/3krTCC1

პოლიტიკური პარტიის ტელეკომპანიების მოწვევა ღონისძიებაზე“, - განაცხადა[53] მთავრობის ადმინისტრაციამ.

კრიტიკული კითხვების შემდეგ ღარიბაშვილმა ტელეკომპანია „ფორმულას“ კორესპონდენტს „პარტიული აქტივისტი“ უწოდა: „თქვენ ხართ ჩვეულებრივი მოძალადეები, აი, თქვენ. თქვენ ხართ პირდაპირ პარტიული აქტივისტი, „ნაცმოძრაობის“ წევრი ხართ თქვენ, რომელიც ფინანსდებით ყველაზე დიდი მძარცველი კეზერაშვილის მიერ... თქვენ ახლა ადგილს აფუჭებთ. თქვენ უნდა იყოთ პარტიაში, თქვენ უნდა იყოთ წინა ხაზზე. პარლამენტში მინდა, რომ გიხილოთ თქვენ. თქვენ ხართ ჩვეულებრივი პარტიული აქტივისტი“.[54] კონკრეტული მედიასაშუალების დისკრედიტაციის მცდელობასთან ერთად, ამ შემთხვევაში პრემიერის განცხადებაში გამოყენებულია კონტრბრალდების ტექნიკა, როცა ის ჟურნალისტებს ძალადობაში ადანაშაულებს. ეს კი, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ ჟურნალისტებზე ძალადობის შემდგომ, ხელისუფლებას, არცთუ უსაფუძვლოდ, ედებოდა ბრალი ძალადობის წახალისებაში. ამის საპასუხოდ კი, მან კონტრბრალდების ტექნიკას მიმართა.

2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „ჩვენი არასწორი პოლიტიკის შედეგია, რომ ჯერ 90-იან წლების დასაწყისში გვქონდა სამოქალაქო დაპირისპირება, სამოქალაქო ომი, დავკარგეთ ტერიტორიები, დროებით, გავიმეორეთ შეცდომა 2008 წელს, როცა ვერ იქნა აცილებული უმძიმესი პროვოკაცია, რამაც განაპირობა ძირძველი, ისტორიული ტერიტორიების ოკუპაცია და ე.წ. აღიარების პოლიტიკა, რომელიც რუსეთის ფედერაციამ წამოიწყო... ახლა მოდით, წამით დავფიქრდეთ, თუ რას ხედავს აფხაზი, ან ოსი ახალგაზრდა, როცა გადართავს და უყურებს ქართულ არხებს, სატელევიზიო გადაცემებს. ყოველდღიურ რეჟიმში ხედავენ, უსმენენ - ძალადობის რიტორიკას, ღვარძლს, შუღლს, ბოროტებას პირდაპირ უნდა ითქვას და ამ შუღლის გაღვივებას ჩვენ შიგნით. არავითარი დისკურსი, არავითარი დღის წესრიგი არ არსებობს ვგულისხმობ უმეტესობას სატელევიზიო არხების და პოლიტიკოსების ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით, მთელი საზოგადოება სურთ, რომ დააზომბირონ, ამ სიტყვას ვიხმარდი“.[55] ამ შემთხვევაშიც, საკმაოდ მძიმე ბრალდებებით, ირაკლი ღარიბაშვილი კრიტიკული მედიის მიმართ საზოგადოებაში უნდობლობის დათესვას ცდილობს. მსგავსი ცინიკური პროპაგანდის ბუნებას ისიც წარმოაჩენს, როცა ხელისუფალი ნაკლებად საუბრობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორზე - რუსეთის ფედერაციაზე - და ძირითად აქცენტს იმაზე აკეთებს, თუ როგორ „არამიმზიდველად“ წარმოაჩენს კრიტიკული მედია საქართველოს.

პრემიერ-მინისტრი მედიისგან „იცავს“ ეკლესიასაც - „ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ თქვენი ტელევიზიები ახდენთ დისკრედიტაციას მღვდელმთავრების და ეკლესიის. მე მინდა

[53] მიხეილ გვაძაბია. ნეტგაზეთი. 2021. „გადაკვეთეს ყველანაირი წითელი ხაზი“ - მთავრობამ ღონისძიებაზე 3 ტელევიზია არ მიიწვია. https://bit.ly/3AyavAI

[54] რადიო თავისუფლება. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტს: თქვენ უნდა იყოთ პარტიაში, წინა ხაზზე. https://bit.ly/39pHVWo

[55] დეა მამისეიშვილი. მთავარი არხი. 2021. რას ხედავს აფხაზი ან ოსი ახალგაზრდა ქართულ არხებზე? ღვარძლს, ბოროტებას, შუღლს - ღარიბაშვილი ისევ მედიას აკრიტიკებს. https://bit.ly/3lCwHDy

მოსახლეობას ავუხსნა, რომ ეს არის ბოლო მცდელობა სააკაშვილის და ოპოზიციის მიერ...“ - განაცხადა ღარიბაშვილმა.[56]

ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა 15 სექტემბერს ქარელში მომხდარ ინციდენტს, რა დროსაც „მთავარი არხის“ ოპერატორი ლევან აბლოთია დაშავდა. „მაქსიმალურად ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, ვინაიდან ვიცით, რომ ძალიან მძიმე პროვოკატორებთან გვაქვს საქმე, რომლებიც ყველაფერზე მიდიან და ყველაფერს გააკეთებენ, რომ რამენაირად ეს მშვიდი საარჩევნო გარემო და პროცესი დააზიანონ“. ჟურნალისტის კითხვაზე ვინ არის პროვოკატორი - „მთავარი არხის“ ოპერატორი, ლევან აბლოთია, რომელიც გადააგდეს? - ირაკლი ღარიბაშვილმა უპასუხა, რომ არ იცის, ეს უნდა დადგინდეს - „ამის კადრები უნდა ვნახოთ ჩვენ, უნდა დამტკიცდეს, მე ნამდვილად არ მინახავს. მე გეტყვით, რომ რა თქმა უნდა ჩემთვის არის მიუღებელი პროვოკაციული მივარდნებით, ძალადობაც მიუღებლია ჩემთვის, რა თქმა უნდა. ეს პროვოკაციული შეკითხვებიც მიუღებელია, მაგრამ ჩვენ ყველა უნდა შევთანხმდეთ, ყველამ ერთად უნდა ვუპატრონოთ ჩვენს ქვეყანას...“[57] აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, გამოყენებულია წყაროს დისკრედიტაციის ტექნიკა, იმის მტკიცებით, რომ „მთავარი არხი“ ხშირად მიმართავს პროვოკაციებს და მათ მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია ნაკლებად სანდოა.

საინფორმაციო წყაროების დისკრედიტაციის მცდელობებს, ყველა კრიტიკული აზრის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაიგივებით, ვხვდებით პრემიერის სხვა არაერთ გამოსვლაში. „მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები ქართველი ხალხის გადაწყვეტილებით ოპოზიციაში გადავიდნენ, იმ დღიდან ყველაფერი ამოტრიალდა. ქვეყანა თითქოს დაინგრა, მანამდე იდეალური იყო სამყარო, სამოთხე იყო და თითქოს, მეორე დღესვე, 1-ელ ოქტომბერს დადგა ჯოჯოხეთი, ასეთი მეთოდებით იბრძვიან და დღემდე ძალადობენ ჩვენს მოსახლეობაზე. ჩართეთ მათი ტელევიზიები, ორი წელია, აღარ ვუყურებ და მართლაც წარმოუდგენელია, ამ ტელევიზიებს უყურო - „მთავარ არხს, „TV პირველს“ და „ფორმულას“, ეს ერთი ხელწერაა და ამ მეთოდებით პირდაპირ იბრძვიან ქართველი ხალხის წინააღმდეგ - თესავენ შიშს, პანიკას, ისტერიკას, იმისთვის, რომ მოქალაქეებმა ვერე დაგეგმონ ხვალინდელი დღე. ყველაზე დიდი ტრაგედია, უბედურება ხომ ეს არის, რომ ადამიანი ვერ გეგმავს ხვალინდელ დღეს, არ აქვს პროგნოზირებადობა და განცდა, რა იქნება ხვალ. როცა უყურებ ამ მართლაც გარყვნილების პროპაგანდას, გვარამიას ტელევიზიას, მართლა გიჩნდება განცდა, რომ ყველაფერი დაინგრა, სამყაროს აღსასრულია და ბოლო დღეა, მსოფლიოს დაცემის დღე“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.[58]

„რატომ უნდა აკრიტიკებდე ყველა ინსტიტუტს და ყველა ავტორიტეტულ ადამიანს ქვეყანაში, თუ შენ მავნე ზრახვები არ გაქვს, თუ ანტისახელმწიფოებრივი ზრახვები არ გაქვს. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას და

[56] ტაბულა. 2021. ღარიბაშვილი ჟურნალისტებს: თქვენ ახდენთ ეკლესიის და მღვდელმთავრების დისკრედიტაციას. https://bit.ly/3ztcUuY

[57] რადიო თავისუფლება. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი „მთავარი არხის“ ინცინდენტზე: პროვოკაციული მივარდნებიც, ძალადობაც მიუღებელია. https://bit.ly/3lIBrYg

[58] ინტერპრესნიუსი. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი: როცა უყურებ ამ მართლაც გარყვნილების პროპაგანდას, გვარამიას ტელევიზიას, გიჩნდება განცდა, რომ ყველაფერი დაინგრა, სამყაროს აღსასრულია და ბოლო დღეა, მსოფლიოს დაცემის დღე. https://bit.ly/3krVlYj

ეს ბოლო 8-9 წელის მუდმივად ცდილობენ მოსახლეობაში ქაოსის, ისტერიის და შფოთვის შემოტანას, მათი ტელევიზიების მეშვეობით მხოლოდ და მხოლოდ. მიმდინარეობს 24 საათიანი დემაგოგია, სიცრუის ტირაჟირება, მაგრამ ჩვენ, ჩვენო ბრძენო ხალხო, კარგად გვესმის თეთრიც და შავიც. ამის გარჩევა შეგვიძლია. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ, მათი ამ სიცრუის შედეგად, ამ დემაგოგიის პროპაგანდის ხარჯზე, არის არასწორ გზაზე, არასწორ არჩევანს აკეთებს. ის 20 თუ 25% ჯამურად, რომელიც მათ აძლევს ხმას... თუნდაც ის სტილი და პროპაგანდის ტირაჟირება არის ნამდვილად ფაშისტური ხელწერა, როცა უწყვეტად ასეთი პროპაგანდის მეშვეობით ცდილობენ, ადამიანებს ჯოჯოხეთი მოაჩვენონ სამოთხედ და პირიქით“, - განაცხადა პრემიერმა ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრაზე.[59]

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მიერ სავარაუდო უკანონო მოსმენების შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტირებისას ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „სუს-ი, პოლიცია, ყველა ახორციელებს კანონით დადგენილ მოსმენებს. თქვენ რაზე საუბრობთ არ ვიცი, თქვენ ხართ პოლიტიკური ტელევიზია [„მთავარი არხი“], თქვენ არ ხართ დამოუკიდებელი... ეს არის მორიგი შეთქმულება და ბინძური პროვოკაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო უწყების მიმართ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ, რა თქმა უნდა, ზედმეტი, სერიოზული კომენტარი არ შეიძლება ამაზე გავაკეთო“.[60]

მედიის მისამართით აგრესიული რიტორიკით ცნობილია მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე.**

გასულ წელს, „საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის ფილიალზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის კომენტირებისას ირაკლი კობახიძემ განაცხადა: „რაც შეეხება მედიასაშუალებებს, ერთი, რომ იყო უპასუხისმგებლო ქმედებები, და კონკრეტული ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულსაც კი შეიცავდა, ამას გეუბნებით როგორც იურისტი... როდესაც ასეთი მძიმე ვითარება არის და 19 ადამიანია გასათავისუფლებელი და თქვენი ჟურნალისტი - „გლავკანალის“ და „პერვიკანალის“ [იგულისხმება „მთავარი არხი“ და „TV პირველი“] მიდის პრემიერ-მინისტრთან და ეკითხება დანაშაულის სტატისტიკის შესახებ, ეს არის სირცხვილი - აი, ეს არის სირცხვილი“.[61] ამ განცხადებაში ცალსახად გამოკვეთილია იარლიყები, რომელთა მიზანია, ზემოხსენებული ტელევიზიების რუსულ ინტერესებთან აფილაცია მოახდინონ.

ირაკლი კობახიძის აზრით, ქართული ტელევიზიები ბილწსიტყვაობას მიზანმიმართულად ამკვიდრებენ: „ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა. თუ დააკვირდებით, პოლიტიკური ბილწსიტყვაობით არ დაწყებულა ის პროცესი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დღეს პარტიულ ტელევიზიებში. თავიდან დაიწყო სხვა რამით, მაგალითად, სერიალებით. იქ ხდებოდა ყურის შეჩვევა ბილწსიტყვაობისთვის. აქაც პირდაპირ ჩანს, რომ კონკრეტული ელემენტი ჩვენი ეროვნული იდენტობის არ მოწონს და არ სიამოვნებს კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას და ისინი

---

[59] პირველი არხი. 2021. ირაკლი ღარიბაშვილი - რატომ უნდა აკრიტიკებდე ყველა ინსტიტუტს და ყველა ავტორიტეტულ ადამიანს ქვეყანაში, თუ შენ მავნე და ანტისახელმწიფოებრივი ზრახვები არ გაქვს. https://bit.ly/39l7OXn

[60] მთავარი არხი. 2021. პოლიტიკური ტელევიზია ხართ, სერიოზული კომენტარი არ შეიძლება ამაზე გავაკეთო - ღარიბაშვილი სუს-ის ჩანაწერებზე. https://bit.ly/3CzpBqq

[61] მთავარი არხი. 2020. „გლავკანალი“ და „პერვიკანალი“ - ირაკლი კობახიძე „მთავარი არხის“ კითხვის პასუხად. https://bit.ly/3zz3GxG

მიზანმიმართულად, სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ბილწსიტყვაობით აჩვევენ ყურს იმას, რომ შენ შეიძლება საკუთრი ენა შეურაცხყო“.[62]

„მადლობა ღმერთს, რომ „ჭუტა“, ნოდარი და გვარამია [იგულისხმება „TV პირველის“ მფლობელი, ასევე მისი ჟურნალისტი ნოდარ მელაძე და „მთავარი არხის“ დირექტორი ნიკა გვარამია] არ არის მედია. გუშინდელი მიტინგის ორგანიზატორები არიან რადიკალური, ანტიქრისტიანული დაჯგუფებების ლიდერები“, - განაცხადა კობახიძემ ჟურნალისტების მიერ გამართული აქციის შესახებ, რომელიც 5 ივლისის მოძალადეთა დასჯის მოთხოვნით გაიმართა.[63]

იგივე საკითხზე საუბრისას, ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ სცადა კონკრეტული მედიასაშუალებების დისკრედიტაცია: „ეს არის ყველანაირი წითელი ხაზების გადაკვეთა, ისინი მიიღებენ პოლიტიკურ პასუხს ყველანაირ ამორალურ ქმედებაზე. გარდაცვლილი ჟურნალისტის სიკვდილზე პოლიტიკური ქულების ჩაწერა, საქართველოში უნდა დაისაჯოს პოლიტიკურად უმკაცრესად. ამის საშუალება მომავალში არავის არ უნდა ჰქონდეს და არც უნდა გაიფიქრონ... ეს არის „ნაცმოძრაობა“, მისი მედიამენეჯერებით. ეგრეთ წოდებული ჭუტა, ნოდარი, გვარამია, მათ მორალურ ფსკერს არანაირი ახსნა და გამართლება არ აქვს... ორგანიზატორები ამ გუშინდელი მიტინგის იყვნენ რადიკალური, ანტიქრისტიანული დაჯგუფებების ლიდერები, მიზანი არის დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს, ეკლესიას“.[64]

კობახიძის განცხადებებში ხშირად იკვეთება ე.წ. „დიდი ტყუილის“, აბსურდული ბრალდებების ტექნიკა, რაც ერთი შეხედვით შესაძლოა სრულიად გაუგებრად და უსაფუძვლოდ ჟღერდეს, თუმცა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ეჭვებს თესავს. „ამ სამ ტელევიზიაში [„TV პირველი“, „ფორმულა“, „მთავარი არხი“] შავი ფული ტრიალებს. მე მაქვს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაცია, ეს ერთი და მეორე, ვიცი როგორია შემოსავლები და რა არის ხარჯები. შესაბამისად, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვამტკიცო, საზოგადოების წინაშე, რომ ამ სამ პარტიულ ტელევიზიაში რამდენიმე ათეული მილიონი შავი ფული იხარჯება ყოველწლიურად. ეს არის რეალობა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ეს არ არის ეს კერძო ბიზნესი, ეს არის პარტიული ტელევიზიები. ეს არის რეალობა. სამივე [„TV პირველი“, „ფორმულა“, „მთავარი არხი“] არის პარტიული ტელევიზია. ესენი არიან პარტიული ტელევიზიები, მათ აქვთ პარტიული დაკვეთა და ეს არის არჩევნების მოგება ან გადატრიალების მოწყობა. როდესაც ისინი 8 წლის განმავლობაში ამას ვერ ახერხებენ, ბუნებრივია მათი პასუხისმგებლობა ინვესტორის მიმართ იზრდება. ზუსტად არის გამწარებული სააკაშვილი, კეზერაშვილი და მედიამენეჯერები. ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მოხდა ამ ადამიანების საბოლოო ლუსტრაცია... მათთვის რეიტინგი არის საშუალება გადატრიალების მოსაწყობად. ყველამ იცის, რომ ისინი არიან პარტიული ტელევიზიები. ეს დაახლოებით ისეთივე

---

[62] მთავარი არხი. 2021. „პარტიული ტელევიზიები“ და ოპოზიცია ბილწსიტყვაობას ტელესერიალებით ამკვიდრებს - კობახიძე. https://bit.ly/39qyNAC

[63] ინტერპრესნიუსი. 2021. ირაკლი კობახიძე - მადლობა ღმერთს, რომ „ჭუტა“, ნოდარი და გვარამია არ არის მედია - გუშინდელი მიტინგის ორგანიზატორები არიან რადიკალური, ანტიქრისტიანული დაჯგუფებების ლიდერები. https://bit.ly/3AvqQWK

[64] ლელა დუმბაძე. ნეტგაზეთი. 2021. „მიზანი არის დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს, ეკლესიას“ - კობახიძე 11 ივლისის აქციაზე. https://bit.ly/3lKcgEL

ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ აფხაზეთი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო... ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებით კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფები ცდილობდნენ პოლიტიკური ქულების დაწერას და ქვეყანაში მასობრივი არეულობის ორგანიზებას. ისინი ცდილობდნენ სპეკულირებას და კონკრეტული მედიასაშუალებების პარტიული მენეჯერები გარდაცვლილი კოლეგის სიკვდილს იყენებდნენ, რომ მოეწყოთ არეულობის სცენარი", - განაცხადა „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ.[65] მოცემულ განცხადებებში გაჟღერებულია უამრავი ბრალდება, რომელთაგან ზოგიერთი სრულიად ბუნდოვანია (მაგ. რა იგულისხმება „შავ ფულში", ეს შესაძლოა თავად განმცხადებელმაც ვერ განმარტოს), ზოგიერთი კი, საკმაოდ მძიმე - როგორიცაა გადატრიალების მცდელობა. თუ კონკრეტული ჯგუფი, „შავი ფულით", მართლაც ჩართულია ასეთ არასახელმწიფოებრივ ქმედებებში, ისმის კითხვა - რატომ არ ხდება ამ ქმედებების მიუკერძოებელი გამოძიება? თუმცა, პროპაგანდისტული გზავნილის გამავრცელებელთა მიზანი არა სიმართლის დადგენა, არამედ საზოგადოებაში ეჭვის დათესვა და სამიზნისთვის ტალახის სროლაა.

მედიაში გასული ერთ-ერთი სიუჟეტის საპასუხოდ, „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ჟურნალისტებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „რაც შეეხება [ქალაქის მოქმედი] მერების მიმართ ბრალდებებს... ეს არის ტყუილი და ჩვენ აუცილებლად მივიღებთ სამართლებრივ ზომებს, შესაბამისი კანდიდატების მონაწილეობით. ძალიან ძვირად დაუჯდება თქვენ ტელევიზიებს ყველა ის ფეიკ ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება... კი, გემუქრებით, რომ მოგიწევთ ბოდიშის მოხდა".[66]

„ეს იყო თქვენი ბოშლევიკი გენპროკურორი დირექტორის გეგმა", - ასე მიმართა "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ „მთავარი არხის" ჟურნალისტს, გავრცელებული ფარული ჩანაწერების შესახებ (რომელიც, სავარაუდოდ, სუს-ის უკანონო მოსმენებს ამხელს) დასმული კითხვის საპასუხოდ. კობახიძის მტკიცებით, მასალები, რომლებიც 2014-2021 წლებს მოიცავს, „ნაციონალური მოძრაობის" ხელწერაა და ეს მათი დეზინფორმაციის, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეკლესიური კამპანიის" ნაწილია. ეს წინასაარჩევნო პერიოდია, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს ტელევიზიები [„ფორმულა", "TV პირველი", "მთავარი არხი"] არიან პარტიულები, მათ აქვთ პარტიული ამოცანები ისინი მთლიანად არიან აგებული სიცრუის გავრცელებაზე, დეზინფორმაციაზე, ეს იყო თქვენი ბოშლევიკი გენპროკურორი დირექტორის გეგმა, რასაც ნათელი მოეფინება ბუნებრივია სათანადო დროს. ეს იყო გარყვნილი ნიკა გვარამიას, გარყვნილი ნოდარ მელაძის, გარყვნილი დიანა ტრაპაიძის, ინგა გრიგოლიას და ა.შ. გეგმა. ამ გარყვნილი ადამიანების გეგმა".[67] ამ განცხადებაში, მკვეთრად ნეგატიურ იარლიყებთან ერთად, ნათლად ჩანს კონტრბრალდების ტექნიკის კლასიკური მაგალითი, როდესაც განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ფარული ჩანაწერები ოპოზიციური პარტიის ხელწერაა.

---

[65] რადიო თავისუფლება. 2021. კობახიძე: ტელევიზიებში [ფორმულა, ტვ პირველი, მთავარი] შავი ფული ტრიალებს და ეს გამოსაძიებელია. https://bit.ly/2VXnooS

[66] დეა მამისეიშვილი. მთავარი არხი. 2021. „კადრები გვაქვს, როგორ დასეირნობს 2 მეტრიდან გადმოვარდნილი" - კობახიძე მედიას ემუქრება. https://bit.ly/3lNaZN6

[67] მთავარი არხი. 2021. ეს იყო თქვენი ბოლშევიკი გენპროკურორი დირექტორის, გარყვნილი ნიკა გვარამიას გეგმა - კობახიძე ჩანაწერებზე. https://bit.ly/3tZ3K8x

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, დმანისში მომხდარი შეიარაღებული გარჩევის შემდეგ, რომელიც პოლიტიკურად დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოხდა, ირაკლი კობახიძემ მედიას მიმართა: „რაც მოხდა დმანისში, არის აბსოლუტურად გაუმართლებელი, არავითარი გამართლება არ აქვს და სრულიად მიუღებელია... პასუხისმგებლობა უნდა აიღოთ თქვენ იმ მუდმივ სიძულვილზე, ძალადობაზე, ბოროტებაზე, რაც ყოველდღიურად გადმოედინება თქვენი ტელეარხებიდან“.[68] აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, სახეზეა მცდელობა, ქვეყანაში არსებული ფაქტობრივად ყველა პრობლემა კრიტიკულ მედიას დაბრალდეს და ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა როგორმე თავიდან აირიდოს.

კრიტიკულ მედიის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებს ავლენს მოქმედი კულტურის მინისტრი **თეა წულუკიანი.** მან „მთავარი არხის“ ჟურნალისტს, ემა გოგოხიას მიკროფონი წაართვა [და არც დაუბრუნებია] და შემდეგ მიმართა: „ემა, მოდი, აბა, თქვი, ბიძინას გაუმარ...“ „მინდა, ვუთხრა მადლობა ბიძინა ივანიშვილს. ვარ ეთერში, რომელი ეთერია? „ფორმულას“ ტელევიზიიდან და ქალბატონი ემა აღარ არის ჟურნალისტი, მე ვარ ჟურნალისტი“.[69]

5 ივლისის მოვლენების და მას შემდეგ ჟურნალისტების საპროტესტო აქციების კომენტირებისას თეა წულუკიანმა განაცხადა: „პოლიციამ გააკეთა შეუძლებელი და ამიტომაც მომავალში კეთილი ინებეთ ყველამ და მოუსმინეთ მთავრობას. როდესაც მთავრობის მეთაური ამბობს, რომ ვიყოთ ფრთხილად, შევიცვალოთ აღლუმის ადგილი, ეს ვიღაცამ უნდა დაიჯეროს და გაიზიაროს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ლგბტქი თემს სურდა კიდეც ამისი მოსმენა და გაზიარება, მაგრამ არ გსურდათ თქვენ და იმ პოლიტიკურ ლეშიჭამია ძალებს, რომელსაც სურდათ ეს პროვოკაცია. პოლიციამ უზრუნველყო შეუძლებელი, მაგრამ ეს თქვენ არ მოგწონთ, თქვენ გინდათ აკეთოთ ის, რაც არის პროვოკაცია და რეალურად, ზოგიერთი ოპოზიციური ძალა, რომელთანაც თქვენ თანამშრომლობთ კარგად და ეს ძალიან კარგია, აჯანჯღარებთ ამ ქვეყანას და ნუ აჯანჯღარებთ ამ ქვეყანას. ახლა სიმშვიდის დროა, ახლა უნდა დავწყნარდეთ და ნუ გამოიყენებთ მორიგჯერ ამ უბედურებას, რომელიც არის ოპერატორის გარდაცვალება, ნუ გამოიყენებთ პოლიტიკური მიზნებისთვის“.[70]

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა. „თქვენ [იგულისხმება მედიასაშუალებები], ყოველთვის, იმ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, რომლებმაც ღიად დადგეს პროვოკაცია და ჩემთვის სამწუხაროდ, როგორც სტრასბურგის სასამართლოს ყოფილი თანამშრომლისთვის, ლგბტქი თემი და მისი ინტერესები გამოიყენა საკუთარი ბინძური პოლიტიკური თამაშისათვის, თქვენ ყოველთვის აშინებთ ქართველებს უცხოელებით. ამით ძალიან დიდ საქმეს უკეთებთ რუსეთს და თამაშობთ რუსულ თამაშს. ამიტომ, შეწყვიტეთ ჩემი შეშინება ევროკავშირითა და ამერიკით. ესაუბრეთ თქვენს ქართველ ხალხს“, - განაცხადა

[68] ტაბულა. 2021. კობახიძე დმანისზე: რა პასუხისმგებლობა ავიღო, ვიღაც დეგენერატმა დაჭრა, მედიამ უნდა აიღოს. https://bit.ly/3nWBPW2
[69] On.ge. 2021. ემა, მოდი, აბა, თქვი, ბიძინას გაუმარ ... - წულუკიანი ჟურნალისტს. https://bit.ly/3lLKmZ6
[70] თელარა გელანტია. Bm.ge. 2021. „მომავალში კეთილი ინებეთ ყველამ და მოუსმინეთ მთავრობას“ - თეა წულუკიანის რჩევა მედიას. https://bit.ly/3lJBsLz

წულუკიანმა.[71] წულუკიანის განცხადებებშიც შეინიშნება პასუხისმგებლობის მედიაზე აკიდებისა და ამ გზით 5 ივლისის მოვლენებზე ჟურნალისტების პროტესტის დისკრედიტაციის მცდელობა.

მედიის მისამართით მწვავე განცხადებებს არ ერიდება მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ვოლსკი.**

„არის კიდევ ერთი გარემოება - ახალგაზრდების ძალიან დიდი წრე, ძალიან დიდი საზოგადოება, განსაკუთრებით ჟურნალისტები იღებენ მონაწილეობას რაღაც კონსპირაციული, დეზინფორმაციული, საბოტაჟური სახის მოქმედებების დაგეგმვაში, რისი მომსწრეებიც ჩვენ ვართ ყოველდღიურად. ეს არის ის ბნელი მხარე იმ პოლიტიკური დაპირისპირებისა, რომელიც, სამწუხაროდ, მძიმე მდგომარეობაში მყოფ მსოფლიოსთან ერთად საქართველოს ახასიათებს ყოველდღიურობაში“, - განაცხადა ვოლსკიმ.[72]

„მაინტერესებს, რომელ ტელევიზიას მიიჩნევთ, როგორც „ქართული ოცნებისათვის“ არაკომფორტულს. ტელევიზია ჰქვია „მთავარ არხს“?! თუ „ფორმულაა“ ტელევიზია, რომლის დამფუძნებელმა ბრძოლის ველზე დატოვა ხალხი და თვითონ მილიონერად გაიქცა“, - განაცხადა[73] ვოლსკიმ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. გიორგი ვოლსკის ეს ორი განცხადება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ერთ შემთხვევაში ის ჟურნალისტებს საბოტაჟურ ქმედებებში ადანაშაულებს და ეს საკითხი პრობლემად მიაჩნია, მეორე შემთხვევაში კი, კრიტიკული ტელევიზიების დაკნინებას ცდილობს, თითქოს „ქართული ოცნებისთვის“ ისინი არავითარ დისკომფორტს არ წარმოადგენენ. განცხადებებში გამოყენებულია პროპაგანდის სხვადასხვა ტექნიკა იმის მიხედვით, თუ დროის კონკრეტულ მონაკვეთში რომელი მათგანი იყო უფრო საჭირო.

„არხის ხელმძღვანელები ვერ არჩევენ რას ნიშნავს მედია, რას ნიშნავს პარტიული ქვედანაყოფი და რას ნიშნავს ნორმალური, ადამიანური საუბარი. "თქვენ ჟურნალისტი არ ხართ, თქვენ პირადად ხართ, მაგრამ თქვენი დაწესებულება არ არის ჟურნალისტების ადგილი...“ - მიმართა[74] „მთავარი არხის“ ჟურნალისტს ვოლსკიმ.

„უზნეო ცეკვა გაქვთ ცხედართან“, - ასე მიმართა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვოლსკიმ ჟურნალისტებს, მას შემდეგ, რაც 5 ივლისს, მედიაზე ძალადობას ტელევიზიის ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება მოჰყვა. ჟურნალისტები ვოლსკის გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას ფოტოებით დახვდნენ. მან კი, მედიის ერთ-ერთ წარმომადგენელს გარდაცვლილი ოპერატორის ფოტო გამოართვა და განაცხადა: „უზნეო ცეკვა გაქვთ ცხედართან, თქვენი კოლეგის. ეს ბიჭი არის ჩემი, თქვენი არ არის“.[75] „მერის კანდიდატის წარდგენიდან გამოსულს ერთი ტელევიზიის აქტივისტი მეკითხება,

---

[71] თელარა გელანტია. Bm.ge. 2021. ნუ აშინებთ ქართველებს უცხოელებით, ამით ძალიან დიდ საქმეს უკეთებთ რუსეთს - წულუკიანი მედიას. https://bit.ly/3hUHh7X

[72] პუბლიკა. 2021. განსაკუთრებით ჟურნალისტები იღებენ მონაწილეობას საბოტაჟური მოქმედებების დაგეგმვაში - ვოლსკი. https://bit.ly/3nXl0dl

[73] მთავარი არხი. 2020. ტელევიზია ჰქვია „მთავარ არხს“?! - გია ვოლსკი. https://bit.ly/39m4BXo

[74] ტაბულა. 2019. ვოლსკი მთავარი არხის ჟურნალისტს: არ ხართ ტელევიზია, ეგ არის ხეპრე ადამიანების თავყრილობა. https://bit.ly/3hNZ1BR

[75] ინტერპრესნიუსი. 2021. გია ვოლსკი ჟურნალისტებს - ეს ბიჭი არის ჩემი, თქვენი არ არის - უზნეო ცეკვა გაქვთ ცხედართან. https://bit.ly/3lNpy3e

ეთანხმებით თუ არა კალაძის განცხადებას, რომ ჟურნალისტები ზეწოლას და ბულინგს ახორციელებენო. არ ვეთანხმები, რადგან ეს არაა ზეწოლა, ესაა ფსიქოლოგიური ტერორი, უზნეო, აღტაცებული სპეკულირება ახალგაზრდა ადამიანის გარდაცვალებით და ეს არც პირველი შემთხვევა! ესაა ფსიქოლოგიური ძალადობა საზოგადოებაზე, ახალგაზრდობაზე, მათ შორის ჟურნალისტებზე, იმათმაც რა ქნან?! გვეკითხებიან, მოგვსდევენ, გვიყვირიან, პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ... რასაკვირველია ყველას არ ეხება", - განაცხადა[76] ვოლსკიმ ზემოთ ხსენებული ინციდენტის შემდეგ. გიორგი ვოლსკის ზემოაღნიშნულ ქმედებასა და განცხადებებში აშკარად ჩანს კონტრბრალდებების პროპაგანდისტული ხერხების გამოყენება, ისრების გადატანის მცდელობა მედიაზე, ხელისუფლების პასუხისმგებლობის გამოსარიცხად.

მედიის შესახებ, სხვადასხვა პროპაგანდისტული ტექნიკით გაჯერებულ რიტორიკას ვისმენთ „ქართული ოცნების" კიდევ ერთი ლიდერის, **მამუკა მდინარაძისგან.**

„თქვენ ალბათ გაგიგიათ და მთელმა მსოფლიომ იცის, რას ნიშნავს ყვითელი პრესა. სამწუხაროდ, საქართველოში გამოიკვეთა წითელი პრესის კონტურები და ნიშნები, სადაც ძველი საბჭოთა „კაგებეშნიკური" მეთოდებით, ინახავენ წლების განმავლობაში რაღაც სხვადასხვა ჩანაწერს, შემდეგ ამონტაჟებენ, ჩეხავენ, კრავენ, აკეთებენ ფაბრიკაციას, საინფორმაციო-ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით. ეს არის საინფორმაციო ტერორიზმი, განხორციელებული წითელი პრესის მიერ და მიმართულია ქართული საზოგადოების წინააღმდეგ. ეს ძალიან სამწუხაროა. ყველამ ერთად უნდა შევძლოთ, რომ ამ წითელ ხაზებს მიღმა, „კაგებეშნიკური" მეთოდების გამორიცხვით და საზოგადოებრივი კონსენსუსის შექმნით, რაღაც საკითხზე მაინც, შევძლოთ, რომ ყველამ ერთად დავგმოთ ფაბრიკაციები, ფარული ჩანაწერები და ამით ადამიანების დისკრედიტაცია. ეს უნდა ჩავაბაროთ რამენაირად წარსულს, რომელ მხარესაც რა პოლიტიკური მიზნებიც არ უნდა გააჩნდეს", - განაცხადა[77] მდინარაძემ. როგორც ვხედავთ, აღნიშნული განცხადება გაჯერებულია უამრავი ისეთი იარლიყით („წითელი პრესა", „კაგებეშნიკური" მეთოდები, „საინფორმაციო ტერორისტები") მედიის მიმართ, რაც მსმენელში ნეგატიურ გრძნობებს აღძრავს.

„თუ ვინმე ამბობს, რომ საქართველოში ხელისუფლების მხრიდან მედიაზე ზეწოლა ხორციელდება, ეს როგორი სიმართლეა, თქვენ თვითონაც კარგად იცით, როდესაც ამ კითხვას სვამთ. მედიის ზეწოლა ვნახეთ ჩვენ, სპეკულირებული და ყალბ მონაცემებზე დაყრდნობილი ზეწოლა ხელისუფლებაზე და საკმაოდ ამორალური კამპანია, რომელიც სამწუხაროდ მიმდინარეობდა დღეების განმავლობაში და დასრულდა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნიკა გვარამიამ ამ მედიასაშუალებების წარმომადგენლებს მოუწოდა, დავამთავროთ ახლა პოლიტიკა და დავუბრუნდეთ ჟურნალისტიკასო..."[78] ეს განცხადება კარგად აჩვენებს კონტრბრალდების პროპაგანდისტულ ხერხს, როცა ის ცდილობს ძალადობის მსხვერპლად

---

[76] iPRESS. 2021. გია ვოლსკი ჟურნალისტების ნაწილზე: ესაა ფსიქოლოგიური ტერორი, უზნეო, აღტაცებული სპეკულირება ახალგაზრდა ადამიანის გარდაცვალებით. https://bit.ly/3nQuTJJ

[77] პირველი არხი. 2021. მამუკა მდინარაძე - საქართველოში გამოიკვეთა წითელი პრესის ნიშნები, სადაც „კაგებეშნიკური" მეთოდებით, წლების განმავლობაში ინახავენ ჩანაწერებს, ამონტაჟებენ, აკეთებენ ფაბრიკაციას. https://bit.ly/3nYDHgZ

[78] ინტერპრესნიუსი. 2021. მამუკა მდინარაძე - ვნახეთ მედიის სპეკულირებული და ყალბ მონაცემებზე დაყრდნობილი ზეწოლა ხელისუფლებაზე, რომელიც მას შემდეგ დასრულდა, რაც გვარამიამ მოუწოდა, დავამთავროთ პოლიტიკა და დავუბრუნდეთ ჟურნალისტიკასო. https://bit.ly/3AxiXAm

მთავრობა წარმოაჩინოს. თუმცა, თუ მსმენელი ამ მესიჯს ლოგიკურად გააანალიზებს, ის სასაცილოდაც კი მოეჩვენება, რადგან ძნელად წარმოსადგენია რეალობა, სადაც მთავრობა შეიძლება იყოს მედიის მსხვერპლი და არა პირიქით.

კოლეგებთან ერთად, მედიის სიყალბესა და მიკერძოებულობაზე საუბრობს პარლამენტის წევრი მმართველი პარტიიდან, **შალვა პაპუაშვილიც.**

„გლოვაშიც კი პოლიტიკურ პერფორმანსს დგამენ. კადრებს არჩევენ. დრონით გადაღებული ჩასვენება... მკვლელობაზე საუბრობენ. სინამდვილეში კი, დღეს, მათ თავად მოკლეს მედია", - დაწერა[79] Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე შალვა პაპუაშვილმა „TV პირველის“ ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას დაკრძალვის შესახებ.

„ბოიკოტზე არ მოვდივარ, კომენტარს არ გაძლევთ მანამ, სანამ ეს ტელევიზიების ხელმძღვანელები და სახეები დაკავებულები არიან ადამიანის სიკვდილზე პოლიტიკური დივიდენდების დაწერით, მანამდე კომენტარს არ გავაკეთებ“, - განუცხადა[80] პაპუაშვილმა ჟურნალისტებს ივლისის მოვლენების შემდგომ.

„ჩვენ რასაც ვხედავთ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, ადამიანები და ამ შემთხვევაში მედიის წარმომადგენლები, ტალახს ესვრიან ადამიანებს, ახდენენ მათ დისკრედიტაციას, ეს არის ტიპიური ფორმა პროპაგანდის. პროპაგანდა, რომელიც ეფუძნება ჭორებს, მოგონილ ამბებს, როდესაც ცდილობენ ადამიანებს რაღაც ამბავი მიაწოდონ, როგორც ფაქტი და სინამდვილეში ეს არის ყველაფერი გამოგონილი“, - განაცხადა პაპუაშვილმა. მან ასევე, ფაბრიკაცია და რუსული პროპაგანდის მაგალითი უწოდა, ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ხელისუფლება სასულიერო პირებს ფარულად უსმენს.[81] პარლამენტის წევრის ამ განცხადებებშიც, რომლის გზავნილებიც ემთხვევა „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერების რიტორიკას, იკვეთება კონტრბრალდებების, იარლიყების მიკვირს, ნეგატიურ კონტექსტში განზოგადებისა და სიმართლის საკუთარი პერსპექტივიდან წარმოჩენის მიზნით ე.წ. ბანქოს დაწყობის მცდელობები.

---

[79] რადიო თავისუფლება. 2021. შალვა პაპუაშვილი: გლოვაშიც კი პოლიტიკურ პერფორმანსს დგამენ. კადრებს არჩევენ. https://bit.ly/2ZcVM0d

[80] რადიო თავისუფლება. 2021. მედიამენეჯერების განცხადებების გამო შალვა პაპუაშვილი ოპოზიციურ არხებს კომენტარზე უარს ეუბნება. https://bit.ly/2ZjU3q3

[81] ინტერპრესნიუსი. 2021. შალვა პაპუაშვილი - მედიის წარმომადგენლები ტალახს ესვრიან ჩვენს კანდიდატებს, ახდენენ მათ დისკრედიტაციას, ეს არის პროპაგანდის ტიპიური ფორმა. https://bit.ly/3ks0UWm

***

წინამდებარე განცხადებები ცხადად აჩვენებს ხელისუფლების წარმომადგენელთა პროპაგანდისტულ გზავნილებს იმ ტელევიზიების მიმართ, რომლებიც მათ არ მოსწონთ. გზავნილების ძირითადი ადრესატი „TV პირველი“, „მთავრი არხი“ და „ფორმულაა“. ხელისუფლება კარგად იყენებს იმ ფაქტს, რომ „მთავარი არხის“ დირექტორი და „ფორმულას“ დამფუძნებელი ყოფილი ხელისუფლების წევრები არიან და ამით ცდილობს მათ დისკრედიტაციას. თუმცა, ის მაინც „ერთ ქვაბში ხარშავს“ ყველა კრიტიკულ მედიასაშუალებასა თუ ჟურნალისტს და აწებებს მათ „სააკაშვილის ტელევიზიების“ იარლიყს. ბუნებრივია, არავინაა იდეალური და ცალკეულ შემთხვევებში მედიასაშუალებებიც უშვებენ შეცდომებს ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისას, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან რაიმე კონკრეტული ხარვეზის განზოგადება, ან ყველა კრიტიკული ჟურნალისტის დეზინფორმაციის გამავრცელებლად მონათვლა, სწორედ რომ მედიის დისკრედიტაციის მცდელობაა. გარდა ამისა, ხდება სპეკულირება საზოგადოების და ეკლესიის სახელით, თითქოს, ტელევიზიები ებრძვიან მათ, „ძალადობენ ფსიქოლოგიურად“ და ა.შ. მედიის მიერ მომზადებულ ფაქტობრივად ყველა კრიტიკულ სიუჟეტს ხელისუფლება ან მიზანმიმართულად აკნინებს და ამბობს, რომ ეს გამოგონილია, ან თავს ესხმის მის გამავრცელებელ წყაროს და სხვადასხვა იარლიყის საშუალებით ცდილობს დისკრედიტაცია მოახდინოს საზოგადოების თვალში, ან სულაც, იქით გადადის შეტევაზე და წარსულის მოშველიებით ცდილობს მიმდინარე პერიოდში გამოვლენილი პრობლემატური საკითხების გადაფარვას. პრინციპით, „შენ უარესს აკეთებდი“ - ხელისუფლების წევრები ცდილობენ საზოგადოება ამა თუ საკითხის განსჯისას დაეყრდნოს ემოციებს და ნაკლებად შევიდეს მიმდინარე მოვლენების არგუმენტირებულ ანალიზში. ამასთან, იმ კონკრეტული მედიასაშუალებების მუდმივი დემონიზაციით, რომლებიც გარკვეულწილად უკავშირდებიან ყოფილ ხელისუფლებას და იმ კრიტიკული წყაროების ყოფილ ხელისუფლებასთან მიტმასნებით, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ „ნაციონალურ მოძრაობასთან“, „ქართული ოცნება“ ცდილობს საზოგადოებაში მედიის მიმართ უნდობლობის გაჩენას. ასევე, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მედიის მისამართით ისმის საკმაოდ მძიმე ბრალდებები (თითქოს, კონკრეტული მედიასაშუალებები ხელს უწყობენ სახელმწიფო გადატრიალებას), რომლებიც მხოლოდ რიტორიკის დონეზე, პროპაგანდის მიზნებისთვის ვრცელდება.

სხვადასხვა მოსაზრებით, თანამედროვე მსოფლიოში, გარდა ისეთი გამონაკლისებისა, როგორიცაა კუბა, ჩრდილოეთ კორეა და თურქმენეთი, ავტორიტარული რეჟიმები არ ცდილობენ ყველაფრის კონტროლს, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების სრულ დამორჩილებას. ამას შეიძლება ეწოდოს "მედიის ეფექტური კონტროლი", სადაც საკმარისია ძირითადი წყაროების გაკონტროლება, დღის წესრიგის მეტ-ნაკლები კონტროლი და ამავდროულად, ალტერნატივების დისკრედიტაცია. ასეთი მიდგომით, პრო-სამთავრობო ნარატივი მაინც ყოველთვის ჭარბადაა მედია სივრცეში, ვიდრე ალტერნატიული მოსაზრებები. სამთავრობო და პრო-სამთავრობო კერძო მედია მხარდაჭერილია ფინანსურად - მათ აქვთ მეტი რეკლამა (სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ დაკვეთილი), ალტერნატიული წყაროები კი, ხშირად გადარჩენისთვის იბრძვიან. ეს ქმნის კვაზი-კომერციულ მედია გარემოს, სადაც სამთავრობო ნარატივი

ყოველთვის გადაფარავს ალტერნატიულ აზრს[82]. დღეს კრიტიკული ქართული მედია ასეთ სავალალო მდგომარეობაში არაა (თუმცა, ამ რეალობის დადგომის მცდელობები შიგადაშიგ აშკარად იკვეთება), მაგრამ რაც შეეხება რიტორიკის დონეზე მის დისკრედიტაციას, ეს ნამდვილად ჩანს. იქედან გამომდინარე, რომ ხელისუფლება სრულფასოვნად ვერ აკონტროლებს (თუმცა კი, შესაძლოა ამის სურვილი აქვს, მაგრამ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების მწვავე რეაქციის, თუ სხვა სირთულეების გამო თავს იკავებს) მედია-სივრცეს, მისთვის ერთადერთ გამოსავლად კრიტიკული მედიის დისკრედიტაცია რჩება. უფრო მეტიც, ხელისუფლებას, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა აწყობდეს კიდეც ე.წ. „მტრის ხატი“ მედიასაშუალებები - ერთი მხრივ, ის ამბობს, რომ ქვეყანაში არის პლურალისტული მედია, მეორე მხრივ კი - ნებისმიერ კრიტიკულ აზრს, ნებისმიერ ამბავს, რომელიც მათ გადაცდომებს აღწერს, უმალ „გარყვნილი“, „სააკაშვილის დანამატი“, „ანტიქრისტიანული“ მედიის ფაბრიკაციად აცხადებენ. ასეთი გზებით, პროპაგანდისტული იარლიყების საშუალებით, მედიის მიმართ უნდობლობის გაღვივება ხდება. მსგავსი მცდელობები კი, აზიანებს მედია გარემოს და ზოგადად დემოკრატიულ პროცესს.

[82] Christopher Walker and Robert W. Orttung. Journal of Democracy. 2014. Breaking the News: The Role of State-Run Media. https://bit.ly/2XUstyM